საქართველოს მთავრობის

დადგენილება №462

2022 წლის 16 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ III , 33, 31/03/2010 წელი) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების:

ა) 1^7 მუხლის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1^7**. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 54-ე – 54^4, 68-ე, 68^1, 75-ე, 82-ე, 82^1, 82^3 და 87-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია:“;

ბ) 1^{10} მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 54-ე და 54^3 გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები ორმაგდება საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებისა და გაფორმების ეკონომიკური ზონებისათვის მომსახურების გაწევის მოთხოვნით არასამუშაო დროს მიმართვის შემთხვევაში.“;

ბ.ბ) მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) 82^1 და 82^3 გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას საბაჟო დეკლარაციის შევსება არ განხორციელდება შაბათის 18 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდსა და უქმე დღეებში.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:

ა) 45-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„45	მატერიალური ფორმით წარდგენილი განცხადების საფუძველზე, განხორციელებული საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის შესახებ ინფორმაციის გაცემა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის მიღება ხორციელდება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში საქონლის დეკლარირებისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეღავათებით		30 ლარი“;

	სარგებლობისთვის)		

ბ) 54-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„54	საქონლის გაფორმება (გარდა 54^1 – 54^3, 68-ე, 68^1, 75-ე, 82-ე, 82^1, 82^3, 86-ე, 87-ე, 103-ე და 122-ე – 125-ე გრაფებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)		არაუმეტეს 3 000 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 100 ლარი; 3 000 ლარზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 15 000 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 400 ლარი; 15 000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 500 ლარი“;

გ) 54^3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„54^3	პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეკლარაციის შევსება და საქონლის საბაჟო საწყობის პროცედურაში გაფორმება (გარდა 75-ე, 82^1, 82^3 და 87-ე გრაფებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)		არაუმეტეს 3 000 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 50 ლარი; 3 000 ლარზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 15 000 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 150 ლარი; 15 000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 200 ლარი“;

დ) 54^4 გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 54^5 გრაფა:

„54^5	პირის მოთხოვნით, საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა		ერთ საბაჟო დეკლარაციაზე – 150 ლარი“;

ე) 64^1 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

	საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საზღვაო გზით კონტეინერით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებაში ან/და სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად განთავსებული საქონლის, აგრეთვე ბორნით შემოტანილ მსუბუქ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში (მათ შორის, სხვა სატრანსპორტო		არაუმეტეს 5 000 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელზე – ღირებულების 10%, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა;

„64^1	საშუალებით გადაადგილებულ მსუბუქ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში) განთავსებული საქონლის ან/და ბორნით სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებულ მსუბუქ ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან ერთად განთავსებული საქონლის საბაჟო ღირებულების დადგენა (გარდა 62-ე და 63-ე გრაფებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)		5 000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონელზე – ღირებულების 5%, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა“;

ვ) 68-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„68	საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საზღვაო გზით კონტეინერით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებაში ან/და სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად განთავსებული, აგრეთვე ბორნით შემოტანილ მსუბუქ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში (მათ შორის, სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებულ მსუბუქ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში) ან/და ბორნით შემოტანილ სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებულ მსუბუქ ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან ერთად განთავსებული, საბაჟო დეკლარაციით – ფორმა 4-ით გაცხადებული 3 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმება		ერთ საბაჟო დეკლარაციაზე – 200 ლარი“;

ზ) 82^1 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„82^1	საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, საბაჟო დეკლარაციის შევსება და საქონლის გაფორმება (გარდა 68-ე, 68^1, 75-ე და 82^3 გრაფებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)		არაუმეტეს 3 000 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 100 ლარი; 3 000 ლარზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 15 000 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 300 ლარი; 15 000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 400 ლარი“;

თ) 82^2 გრაფა ამოღებულ იქნეს;

ი) 82^3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„82^3	საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, საბაჟო დეკლარაციის შევსება და საქონლის საბაჟო საწყობის პროცედურაში გაფორმება (გარდა 75-ე გრაფით გათვალისწინებული შემთხვევისა)		არაუმეტეს 3 000 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე – 25 ლარი; 3 000 ლარზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 15 000 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 75 ლარი;

			15 000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 100 ლარი“;

კ) 82^4 გრაფა ამოღებულ იქნეს;

ლ) 87-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„87	საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის გაფორმება (გარდა 75-ე გრაფით გათვალისწინებული შემთხვევისა)		300 ლარზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 3 000 ლარის ღირებულების საქონელზე – 20 ლარი; 3 000 ლარზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 10 000 ლარის ღირებულების საქონელზე – 100 ლარი; 10 000 ლარზე მეტი ღირებულების საქონელზე – 300 ლარი“;

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 19 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**